 3. კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროსს კომისიის სამდივნოს სტრუქტურასა და საშტატო ერთეულთა რაოდენობას.
 4. კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან კომისიის სამდივნოს სპეციალისტები (საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეები) და შტატგარეშე მოსამსახურეები (მოწვეული სპეციალისტები).
 5. კომისიის თავმჯდომარე კომისიის სამდივნოს მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების წინადადებას წარუდგენს აპარატის უფროსს.
 6 კომისიის სამდივნოს თანამშრომლებს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის უფროსი.

თავი VI დასკვნითი დებულებები

მუხლი 11.

კომისიის დებულებაში ცვლილებები და დამატებების შეტანა ხდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 2-11
 20 ნოემბერი 2006 წელი
 07.12.06 წ.
 010.220.020.36.101.009.632

ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და აკადემიის უფლებამოსილი კომისიის დავალების განმარტების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და აკადემიის უფლებამოსილი კომისიის თანდართული დებულება.

06. 10 83.



2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 28 ივნისის №11-6 გადაწყვეტილება.

3. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს მდივანი

გ. აბაშვილი
თ. ქარსული

ქ. თბილისის საკრებულო

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 20 ნოემბრის
№2-11 გადაწყვეტილებით

ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულება

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ქ. თბილისის საკრებულოში (შემდგომში-საკრებულო) საკითხების წინასწარი მომზადების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია (შემდგომში-კომისია).

2. კომისია ამზადებს დასკვნებს საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე, აკონტროლებს პროცედურული საკითხების შესაბამისობას ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტთან (შემდგომში რეგლამენტი).

3. კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, დასკვნებს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე.

თავი II კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და კომისიის წევრთა უფლებამოსილებანი

მუხლი 2.

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 5 წევრით.
2. კომისიის შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.
3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი.
4. კომისიის თავმჯდომარის მიერ, რეგლამენტით დადგენილი წესით, კომისიაში სამუშაოდ დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეული იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 3.

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - ბ) მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს და გადასცემს საკრებულოს შესაბამის ორგანოს;
 - გ) განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს ან ნიშნავს საკრებულო, რის თაობაზეც სამართლებრივ დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს;
 - დ) აკონტროლებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს;
 - ე) ისმენს ინფორმაციას, ახსნა-განმარტებას საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს.
2. კომისია რეგლამენტით დადგენილი წესით ამზადებს დასკვნებს:
 - ა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესახებ;
 - ბ) საკრებულოს ფრაქციებთან დაკავშირებით;
 - გ) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.
3. კომისია ამზადებს და განსახილველად წარუდგენს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.
4. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4.

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:
 - ა) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, მოსაზრებები და წარმოდგინოს წინადადებები;
 - ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თანამდებობებზე;
 - გ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან.
2. კომისიის წევრი ვალდებულია:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;
 - ბ) არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;

გ) შეასრულოს კომისიის მიერ დაკისრებული მოვალეობები.

თავი III კომისიის სხდომები

მუხლი 5.

1. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. კომისიის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომისიის მორიგი სხდომის ჩატარების დროს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კომისიის წევრები ვალდებული არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გამამყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში იმართება დახურული სხდომა. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

6. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში, ქ. თბილისის მთავრობის წევრები და სხვა მოწვეული პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემა სიტყვით გამოსვლის უფლება. კომისიის სხდომაზე დასასწრებად ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დადგენილი წესით აკრედიტებული წარმომადგენლები.

მუხლი 6.

1. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფორმაციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, მთავრობის წევრთა და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები და სხვა საკითხები.

2. კომისია იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას.

3. კომისიის სამართლებრივი დასკვნები, როგორც წესი, წარედგინება საკრებულოს სხდომას ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.

4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

5. საკრებულოს მიერ არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

მუხლი 7.

საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება გაიმართოს კომისიების ერთობლივი (საკონსულტაციო) სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თავი IV კომისიის თანამდებობის პირები

მუხლი 8.

1. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს, ხსნის და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;
- გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;
- დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;
- ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;
- ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;
- თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შეუთავსებლობის შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. კომისიის თავის წევრთაგან უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

5. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრს.

6. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მოადგილეები):

- ა) ასრულებს კომისიის ცალკეულ დავალებებს;
- ბ) კომისიის (სიითი შემადგენლობის უმრავლესობის) დავალებით ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობებს მისი გადადგომის, გადაყენების ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9.

1. კომისიის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, ბიურომ, საკრებულოს



სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესუთედმა, კომისიის შემადგენლობის ორმა მესამედმა.

2. კომისიის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მას გააცნობს საკრებულოს. კომისიის თავმჯდომარე გადადგარად ითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის განცხადების წარდგენის დღიდან.

4. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო უახლოეს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ირჩევს კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

თავი V კომისიის სამდივნო

მუხლი 10.

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს აპარატის კომისიისადმი დაქვემდებარებულ მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის სამდივნო:
ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) მუშაობს კომისიის დებულებით განსაზღვრულ საკითხებზე, ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის დავალებებს;

დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროსს კომისიის სამდივნოს სტრუქტურასა და საშტაგო ერთეულთა რაოდენობას.

4. კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან კომისიის სამდივნოს სპეციალისტები (საშტაგო განრიგით გათვალისწინებული მოსამსახურეები) და შტაგ-გარეშე მოსამსახურეები (მოწვეული სპეციალისტები).

5. კომისიის თავმჯდომარე კომისიის სამდივნოს მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის მომების შეფარდების წინადადებას წარუდგენს აპარატის უფროსს.

6. კომისიის სამდივნოს თანამშრომლებს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის უფროსს.

თავი VI დასკვნითი დებულებები

მუხლი 11.

კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 2-12
20 ნოემბერი 2006 წელი
07.12.06 წ.
010.220.020.36.101.009.633

ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამატების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 7 ივლისის № 18-3 გადაწყვეტილება.

3. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. ბაგაშვილი**
საკრებულოს მდივანი **თ. ქარსული**

ქ. თბილისის საკრებულო

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 20 ნოემბრის
№ 2-12 გადაწყვეტილებით

ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულება

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ორგანოების საფინანსო საქმიანობის კონტროლის მიზნით საკრებულო საკუთარი შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის სარევიზიო კომისიას (შემდგომში-კომისია).

2. კომისია აკონტროლებს შემოსავლების ამოღების დროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებასა და ადგილობრივ ბიუჯეტთან შესაბამისობას.

3. სარევიზიო კომისია საკრებულოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას სარევიზიო კომისია საკრებულოს წარუდგენს შემოწმების წლიურ ანგარიშს.

თავი II კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და კომისიის წევრთა უფლებამოსილებანი

მუხლი 2.

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 5 წევრით.
2. კომისიის შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი.

4. კომისიის თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, კომისიაში სამუშაოდ დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულნი იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 3.

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) აკონტროლებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

გ) ახორციელებს კონტროლს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

დ) კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხებზე ისმენს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებებს, მოსხენებებს;

ე) აკონტროლებს ქალაქ თბილისის რაიონებისა და დაბა წყნეთის ბიუჯეტების ხარჯვის, მაგერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას;

ვ) ახორციელებს ქ. თბილისის აღმასრულებელ ორგანოთა საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიას და ქ. თბილისის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ ქალაქის ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერების შემოწმებას;

ზ) აკონტროლებს ქ. თბილისის ქონების გამოყენების ეფექტურობასა და მიზანშეწონილობას;

თ) აკონტროლებს ქალაქის მერის, ქალაქ თბილისის მთავრობის, სხვა თანამდებობის პირების და მუნიციპალური საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

ი) სწავლობს და აანალიზებს საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილ დარღვევებს, დადგენილი საბიუჯეტო მაჩვენებლებისაგან გადახრებს და წარადგენს წინადადებას ამ დარღვევების აღმოსაფხვრელად;

კ) განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებსა და საჩივრებს ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ორგანოების მიერ საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში არსებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევის შესახებ და ახდენს სათანადო რეაგირებას;

ლ) იღებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, წინადადებას და წარუდგენს საკრებულოს განსახილველად;

მ) განიხილავს ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის და ამზადებს დასკვნებს;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4.

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:
ა) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, მოსაზრებები და წარმოადგინოს წინადადება;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თანამდებობებზე;

გ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან.

2. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;

ბ) არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;

გ) შეასრულოს კომისიის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები.

თავი III რევიზიის პროცესი და რევიზიის შედეგები

მუხლი 5.

1. კომისიის სამუშაო გეგმით (ან დავალებით) გათვალისწინებული საკითხები კომისიის სხდომაზე ნაწილდება კომისიის წევრებსა და მოწვეულ სპეციალისტებზე.

2. რევიზორი (კომისიის წევრი ან მოწვეული სპეციალისტი) შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელს წარუდგენს:

ა) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და შესაბამის სამსახურებრივ მოწმობას;



ბ) კომისიის დამტკიცებულ სამუშაო გეგმას ან საკრებულოს სამართლებრივ აქტს გეგმის გარეშე საკითხის შესწავლის თაობაზე;

3. შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შემოწმების პერიოდში რევიზორს უნდა შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები, გააცნოს საჭირო დოკუმენტაცია და მისცეს ახსნა-განმარტება მოთხოვნისამებრ.

4. შემოწმების პერიოდი განისაზღვრება შესამოწმებელი საკითხის სირთულით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. შემოწმების ვადის 2 კვირით გაგრძელების უფლებას იძლევა სარევიზიო კომისიის თავჯდომარე რევიზორის (ან რევიზორების) მიერ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენის შემდეგ.

5. შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით რევიზორი ადგენს დასკვნას, რასაც თან დაურთავს საჭირო და აუცილებელ მასალებს, აღნიშნულს ეცნობა და ხელს აწერს შესამოწმებელი დაწესებულების ხელმძღვანელი. თუ შესამოწმებელი დაწესებულების ხელმძღვანელი არ ეთანხმება დასკვნის შინაარსს, რევიზორი დასკვნაში ამის თაობაზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

6. სარევიზიო კომისია თავის დასკვნას, შემოწმების შედეგების შესახებ შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად წარადგენს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

თავი IV კომისიის სხდომები

მუხლი 7.

1. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. კომისიის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომისიის მორიგი სხდომის ჩატარების დროს განსაზღვრავს კომისიის თავჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კომისიის წევრები ვალდებული არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავჯდომარის ხმა.

5. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში იმართება დახურული სხდომა. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

6. კომისიის სხდომას სათანადო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში, ქ. თბილისის მთავრობის წევრები და სხვა მოწვეული პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები, რომელთაც სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემათ სიგელით გამოსვლის უფლება. კომისიის სხდომაზე დასასწრებად ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დადგენილი წესით აკრედიტებული წარმომადგენლები.

მუხლი 8

1. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული პროექტები, ინფორმაციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, მთავრობის წევრთა და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები და სხვა საკითხები.

2. კომისია იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას.

3. კომისიის დასკვნები, როგორც წესი, წარედგინება საკრებულოს სხდომას ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.

4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

5. საკრებულოს მიერ არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში—ვალდებულია დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

მუხლი 9.

საკრებულოს თავჯდომარის მოთხოვნით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება გაიმართოს კომისიების ერთობლივი (საკონსულტაციო) სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თავი V კომისიის თანამდებობის პირები

მუხლი 10.

1. საკრებულოს კომისიის თავჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. კომისიის თავჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის და წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;

ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;

ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკრებულოს კომისიის თავჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. კომისია თავის წევრთაგან უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

4. კომისიის თავჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის თავჯდომარეს და კომისიის წევრს.

5. კომისიის თავჯდომარის მოადგილე (მოადგილეები):

ა) ასრულებს კომისიის ცალკეულ დავალებებს;

ბ) კომისიის (სიითი შემადგენლობის უმრავლესობის) დავალებით ასრულებს კომისიის თავჯდომარის მოვალეობებს მისი გადადგომის, გადაყენების ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 11.

1. კომისიის თავჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. კომისიის თავჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავჯდომარემ, ბიურომ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესუთედმა, კომისიის შემადგენლობის ორმა მესამედმა.

2. საკრებულოს კომისიის თავჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. კომისიის თავჯდომარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავჯდომარეს, რომელიც მას გააცნობს საკრებულოს. კომისიის თავჯდომარე გადამდგარად ითვლება საკრებულოს თავჯდომარისათვის განცხადების წარდგენის დღიდან.

4. კომისიის თავჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო უახლოეს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ირჩევს კომისიის ახალ თავჯდომარეს.

თავი VI კომისიის სამდივნო

მუხლი 12.

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს აპარატის კომისიისადმი დაქვემდებარებულ მულტიფუნქციურ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის სამდივნო:

ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-გეგმურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) მუშაობს კომისიის დებულებით განსაზღვრულ საკითხებზე, ასრულებს კომისიის თავჯდომარისა და კომისიის დავალებებს;

დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის თავჯდომარე წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროსს კომისიის სამდივნოს სტრუქტურასა და საშტატო ერთეულთა რაოდენობას.

4. კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან კომისიის სამდივნოს სპეციალისტები (საშტატო განრიგით გათვალისწინებული მოსამსახურეები) და შტატგარეშე მოსამსახურეები (მოწვეული სპეციალისტები).

5. კომისიის თავჯდომარე კომისიის სამდივნოს მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების წინადადებას წარუდგენს აპარატის უფროსს.

6. კომისიის სამდივნოს თანამშრომლებს კომისიის თავჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავენ და ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის უფროსი.

თავი VII დასკვნითი დებულებები

მუხლი 13.

კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 2-13
20 ნოემბერი 2006 წელი
07.12.06 წ.
010.260.030.36.101.009.625

„ქალაქ თბილისის მერიის დეპუტატის დამატებითი შესახებ“
ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1
გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს



რეპუბლიკის 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქალაქ თბილისის რაიონები: გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, კრწანისის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის და ძველი თბილისის რაიონი.“

ბ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12¹ მუხლი:

- „მუხლი 12¹. ქ. თბილისის მთავრობის სტრუქტურა
- 1. ქ. თბილისის მთავრობა შედგება შემდეგი თანამდებობის პირებისგან:
- ქ. თბილისის მერი – მთავრობის ხელმძღვანელი;
- 2. ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი);
- 3. ქ. თბილისის მერის მოადგილეები;
- 4. ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგებელი;
- 5. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი;
- 6. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი;
- 7. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი
- 8. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი;
- 9. ძველი თბილისის რაიონის გამგებელი;
- 10. დაბა-წყნეთის გამგებელი;
- 11. განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 12. ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 13. გრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 14. ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 15. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 16. მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 17. სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 18. ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 19. საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 20. სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსის უფროსი;
- 21. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 22. საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 23. დასუფთავების საქალაქო სამსახურის უფროსი.“

გ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 35¹-ე მუხლი:

„მუხლი 35¹. ძველი თბილისის რაიონის გამგეობის უფლებამოსილებანი ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების გარდა, ძველი თბილისის რაიონის გამგეობის კომპეტენციაში შედის:

ა) დაქვემდებარებულ გერიგორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მიმდინარე პროცესების კოორდინაცია და ხელშეწყობა ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული, საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტულ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მიმართულებით;

ბ) ინფორმაციის მიღება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ისე იურიდიული პირებისაგან, ძველი თბილისის რაიონის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე პროცესებსა და წარმოებული სამუშაოების თაობაზე;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ძველ თბილისში მიმდინარე პროცესებისა და ძველების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის წარმოება, მონიტორინგის ადეკვატური და ქმედითი სისტემის მეშვეობით;

დ) საქმიანობის წარმართვა მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში, მათი ინიციატივების წახალისებითა და მოსახლეობის ძველი თბილისის რაიონის განვითარების პროცესებში ჩართვის გზით;

ე) დაქვემდებარებულ გერიგორიაზე ფინანსური სტრატეგიის შემუშავება და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით ფონდების მოძიება-კოორდინაციისაზე მრუნვა;

ვ) ძველი თბილისის ღირსესანიშნაობების პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვის მიზნით სარეკლამო წინადადებების მომზადება და მათი განხორციელება;

ზ) ამ დებულებით, რაიონის გამგეობის დებულებით და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.“

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-2 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის მთავრობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“.

3. გადაწყვეტილება ძალაშია 2007 წლის 1 იანვარიდან

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. ბაგაშვილი**
საკრებულოს მდივანი **თ. ქარსული**

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 2-14
20 ნოემბერი 2006 წელი
07.12.06 წ.
330.090.020.36.101.009.626

„ქ. თბილისის გერიგორიის განვითარებისა და განათლების რეკონსტრუქციის წესების შესახებ“

ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13

გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტი-

ლებით დამტკიცებულ ქ. თბილისის გერიგორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში (შემდგომში – წესი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) წესის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ შენობა-ნაგებობის სრული სართულების და მანსარდის (1,6 მ-ის ზემოთ) ჯამური ფართის რა რაოდენობა არის დასაშვები შესაბამისი გერიგორიის თითოეულ კვადრატულ მეტრზე, ამასთან, მანსარდის ფართი არ დაიანგარიშება ერთბიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ზონებში სზ-1 და სზ-2.“

ბ) წესის მე-18 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ქ. თბილისში მრავალბინიან, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებზე მანსარდების დაშენებისათვის ნებართვის გაცემა აკრძალულია, ამასთან, გამონაკლისი დაიშვება ქ. თბილისში არსებულ მრავალბინიან, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მანსარდის მოწყობაზე არსებული ქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცეული სხვისი გამოყენებით, სახურავის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად.“

გ) წესის მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. გარდამავალი დებულებები
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თანმიმდევრობით მშენებლობის ნებართვის მიღებისათვის განხორციელებული პროცედურები და გამოცემული ადმინისტრაციული აქტები (ქალაქმშენებლობითი პირობები, შეთანხმებული პროექტი, მშენებლობის ნებართვა) მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის ძალაში შესვლის შემდეგაც ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. ბაგაშვილი**
საკრებულოს მდივანი **თ. ქარსული**

ქ. თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 2-15
20 ნოემბერი 2006 წელი
07.12.06 წ.
010.250.050.36.101.009.627

„ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის №4-1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად „ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის №4-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების წარმოების ინსტრუქციაში, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას, მასზე თანდართულ მიზნობრივ პროგრამას და ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს ქ. თბილისის საკრებულოს წარუდგენს ქალაქის მერი.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. კვარტალური ანგარიშის ფორმას ქ. თბილისის საკრებულოს წარუდგენს ქალაქის მერი.“;

გ) მე-4 მუხლის, მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კვარტალურ ანგარიშს, კვარტალურ ფორმასთან ერთად ქალაქის მერი საკრებულოს წარუდგენს საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.“;

დ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წლიურ ანგარიშს საკრებულოს წარუდგენს ქალაქის მერი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვისა.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. ბაგაშვილი**
საკრებულოს მდივანი **თ. ქარსული**



კაცი – ტაძარი

შოთა კირვალიძე



დადიოდა ამჟამად ერთი გულგზინი ვაჟკაცი, ალბათ და სხვანათელი. თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, თბილისი და მისი გაგზავნილი ძველი უბანი, ვორნცოვი. ახალგაზრდობიდანვე უამრავ კაცში იყო განაწილებული და ამიტომ ნაცნობ-მეგობრებიც ბევრი ჰყავდა. გაზაფხული დაჰქონდა სულით. სადაც შევიდოდა, სიხარული შეჰქონდა. დღე და ღამე იმის ფიქრში ატარებდა, ვისთვის რა სიკეთე გააკეთებინა. უკანასკნელ ღამეს დაუგადავლად გაუყვარდა სულიად უცნობსაც კი. სხვისთვის უნდოდა ყველაფერი, თავისთვის კი არა ფიქრს იტოვებდა. ვინ იცის, რამდენ ოჯახს გაუმავრა ფეხი, თავისი კი ვერ მოახერხა, როგორც უნდოდა. გუნებათ რაინდი კაცი, თავის გულისტკივილს არავის უხედავდა, ვერცხედა ანაბრების შენახვას. ჭირშიცა და ლხინშიც თავკაცი იყო, საგაგიეროს არავისგან იტხოვდა. ასე გულგზინი და ხელგაშლილი და-

დიოდა. ერთი წუთითაც არ შეუცვლია ცხოვრების წესი. სარეცელზე მიჯაჭვული იმას ნახდა, რომ ადამიანებმა ყველაფერს დატოვეს და წაიქვედნენ. ასე ნელ-ნელა დაიწყო ამ დიდგულე კაცის ჯანი და ღონე, ჩამთავრდა მისი სიკეთით აკინძული კრიალოვანი. ასეთი იყო ჩვენი ერთგული და საყვარელი მეგობარი **შოთა კირვალიძე**. ნაპოვია და დატოვა მოურჩეველი სევდა, თან ნაწილად ხალხის ალბლი ცრემლი და გულისტკივილი. მართლაც და, ერთი უნაღდესი ვაჟკაცი დააკლდა ჩვენს ქალაქს, ჩვენ კი, მის სამეგობროს, ერთ-ერთი უკეთესი გულგზინი ვერ ვხვდებით. დღემდე გაანათლოს მისი ალბლი სული.

სამეგობრო

თინათინ მენთეაშვილი, ოთარ აბდუშელიშვილი, გუგუ ბერიძე, თამაზ გოჭოშიძე, გურამ გაბუნია, გივი გაბუნია, გიორგი გამცემლიძე, კუპური გვარამია, ზაურ გომარეთელი, ჯუმბერ გონაშვილი, გიორგი დოლაბერიძე, კახი კახიანი, ამირან კირვალიძე, გიორგი კოტირაძე, დამირ მანჯგალაძე, სერგო კოტირაძე, ნუკრი მანჯგალაძე, დემურ მიძაძე, მურთაზ მიძაძე, ჯემალ მიძაძე, ნიკოლოზ ნეფელოვი, ირაკლი შორდანი, გორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, გურამ ფარაძე, ოთარ ძვილითანი, ზურაბ ჩხეიძე, ჯუანშერ ჩიჩუა, თამაზ ცინცაძე, ოთარ ხატიშვილი, იოსებ ხარატიშვილი, გივი ხელაშვილი, ლეონი ლეიშვილი.


გორის სარალიძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის შოთა კირვალიძის გარდაცვალებას.

გურამ გაბუნია ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება **შოთა კირვალიძე** და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და მის ახლოვლებას.

ნიკოლოზ ნეფელოვი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, გამორჩეული ქალაქლის, წარმოუდგენლად მოსიყვარული კაცის **შოთა კირვალიძის** გარდაცვალებას გამო და სამძიმარს უცხადებს მის საყვარელ ოჯახს.

მურთაზ, გივი, დოლო, ნაილე მიძაძეები, ლალი, ბახვა მანჯგაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძობენ ჯონი მანჯგაძის საყვარელი შვილიშვილის **ირაკლი მანჯგაძის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მეუღლე მარინა, შვილი ნინო, შვილიშვილები ნიკა, ძეთი, ძმა გიორგი, ძმისწული ირაკლი გიორგოზიანი, რძალი ფისო სირაძე, სიძე პაატა არჩვაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გაბო გიორგოზიანი** ანაშვილი 12, 13 XII, 16 სთ. გამოსვენება 14 XII, 14 სთ. მისამართი: ირაკლი აბაშიძის (ყოფილი გარეოვის) 32.



რეზო აბაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **გაბო გიორგოზიანი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ა. ღვაშიტაძის სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თანამშრომლები და საპარტოვლო ონკოლოგთა საზოგადოება თანაუგრძობენ აგავე ცენტრის თავისა და ქისრის სიძინებების განყოფილების ექიმს ლევან ზაქანიძეს და ცენტრის ხელმძღვანელს რეზო გაბუნას გამოსვენებას სიძის **ოლივიტა გრიგოლის ძე ზაქანიძის** გარდაცვალებას გამო.

აკად. მ. წინამძღვრის შვილი სპ. კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტში იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ტრისტან სუციშვილი** და თანაგრძობენ უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები გეო, მამუკა ლოგაშანიძეები, და ცილა ლოგაშანიძე, დინუშუაბი თემურ, ნინო გუგუშვილები, რძლები ტატიანა მიწევა, ცირუ ჯგუბური, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლევან ლოგაშანიძე** ანაშვილი 12, 13 XII, 17 სთ. გამოსვენება 14 XII, 15 სთ. მისამართი: ძ.თბილისი, გროსის ძ. №3.

გამომცემლობა „მანკიშვილი“ კომპიუტერული ცენტრი და გარეუბანი „საპარტოვლო რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძობენ თამარ და ვალერი ჯუღელაძის მამის **ჯემალ ჯუღელის** გარდაცვალებას გამო.

ბავშვობის მეგობრები გურამ ახვლედიანი, ილო ბარათაშვილი, გივი გუგუშვილი, გურამ გომარეთელი, ნოდარ მგალოვანი, რეზო მხეიძე, გივი მესხიშვილი, ირაკლი შორდანი, გურამ ლოგაშანიძე, რამაზ ლამაზიძე, თამაზ შილაძე, ზურაბ შოშიტაშვილი, რამაზ ხუნჯუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ჯუმბერ გრიგოლის ძე სანიკიძე** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის 1955 წლის კურს-დამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი **ჯუმბერ სანიკიძე** და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

შპს „ინსტი 1001“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვართოთ მისამართზე: დაბა ზაქისი. ტელ: 893-91-73-59.

ბანცხადება
საპარტოვლო ორგანული კანონის „აღი-ლოვრები თვითმმართველობის შესახებ“, მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად დაინტერესებული პირები უნდა განაცხადონ საპარტოვლო გიორგი მიწევიძის წლის 20 დეკემბრამდე აცხადებს კონკურსს

სსოვნა

ჯუმბერ სანიკიძე



ძართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკარგი განიცადა – 2006 წლის 7 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ნარსულში კიბარნეთის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ამჟამად კიბარნეთის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯუმბერ სანიკიძე**.

ბატონმა ჯუმბერმა ბრძოლი, სინტეზის და ურთულესი გზა განვლო იმ სამეცნიერო ნარკვევების მიხედვით, რითაც ასე დიდ დარღობას განიცდიდა. მისი მოღვაწეობა თვალნათლივ გასულიყო და უფალაპი შრომის, კლინიკური ნაშრომის, საქმის სიყვარულის და პატრიოტიზმისა. იგი დაიბადა 1932 წლის 1 მაისს ძ.თბილისში მეცნიერ-მუშაკის ოჯახში, სადაც სუფიზად უდრდა პატიოსანი, კულტურული და საუბრეთესო ტრადიციები. სწორედ პროფესორის მოადგილედ დაამთავრა ჯუმბერმა მამამისი, როცა ავადმჯობნებულ 37 წელს გამოჩენილი ძარბოვლი მოღვაწეების დარად რამდენიმეჯერ იმან. მისი ალბრადის ტვირთი კი დედას – პედაგოგ ქალს და დიდას – გემრანელ მეცნიერსა და სელექციონერს, საპარტოვლოში მუშაობის დამთავრებულს დააწვია კისარა და ეს ტვირთი მათ ღირსეულად ატარეს – გაზარდეს შრომისმოყვარე, განათლებული პიროვნება, რომელმაც ძ.თბილისის პირველი საგუბლო სკოლაში მუშაობის დროს დაამთავრა და შეუღდა მეცნიერების რთულ გზას თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა სწავლა განაგრძო მდიდარი სამეცნიერო ტრადიციების მატარებელ ხარკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც მან გუმბარაჟი მეცნიერების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. აკადემიკოს ილია ლიფციცის ხელმძღვანელობით ჯუმბერ სანიკიძე წარმატებით დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია და მიუძღვა ხარკოვის უნივერსიტეტში არსებული დიდი პრესტიჟის, საშობლო და უგრძობად. ამავე დიდი სამეცნიერო ნარკვევებიც ხვდა წილად – გამოქვეყნდა სინტეზის, მაღალი ლიკვიდაციის არსებული ნაშრომი, დიდი წარმატებით დაიწვა სადოქტორო დისერტაცია და კალი ტეპერატურების ფიზიკის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლიდან გარდაცვალებამდე ბატონი ჯუმბერი იყო საპარტოვლო მეცნიერებათა აკადემიის კიბარნეთის ინსტიტუტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თანამშრომელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა 1983 წლიდან 2006 წლამდე განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მისი თანამდებობის შრომისა და თითქმის შიშველი მეთოდების წყალობით არათუ გაუძლო ამ განყოფილებამ მეცნიერებისთვის ძველადღობის ჟამს, არამედ საკამო წარმატებებსაც მიანდნა. მისი მეცნიერული ნაღვაწი თვალნათლივ გამოვლინდა სამეცნიერო ნაშრომებში. დიდი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, პეტრა კაპიტას მიერ ფანტასტიკური მოვლენის – ზედადღობის აღმოჩენის ნათქვამი დაუდო ფიზიკის სრულიად ახალი მიმართულება – ზედადღობის და სწორედ ამ, კვანტური სითხეების კვლევის სფეროში პროფესორმა ჯუმბერ სანიკიძემ შეასრულა კლასიკური დატვირთვის მქონე გამოკვლევები. მისი თანამშრომლობით და დამოუკიდებლად შესრულებულმა მონობარაფიკებმა და სამოცხე მებმა შრომამ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ზოლო წლებში კი მან მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩატარა მაღალტეპერატურული ზედადღობის სფეროში, რაც ზედადღობის დარგში ჩატარებული სამუშაოს გუმბეროვი გაბრძობა იყო.

ჯუმბერ სანიკიძე ბახლდით ბრწყინვალე პედაგოგი და ალბრადელი. იგი ათეული წლების მანძილზე კითხულობდა ნაშრომებს სხვანათელი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც უაღრესად პატიოსანი და პროფესორული პედაგოგის სახელი მოიხვეჭა. დიდა მისი ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა ჩამოყალიბების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დატვირთული იმან საკანდიდატო დისერტაციები და იგი იყო მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის მოწინააღმდეგე. ბატონ ჯუმბერს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმში.

ბატონი ჯუმბერი იყო უაღრესად განათლებული, ლიტერატურისა და ხელოვნების ღრმა მცოდნე. რომ არა ფიზიკა, იგი ბრწყინვალე პიანისტიც იქნებოდა. მის მიერ შესრულებული ლისტის რეკვიამი ალბრადი უნდა იყოს მისი მისწავლის ნიშანი.

იგი იყო გულითადი და ერთგული მეგობარი, თავდადებული მამა და შესანიშნავი პაპა. აი, ასეთი ადამიანი დააკლდა ქვეყანას, ეროვნულ მეცნიერებას. დიდ სამძიმარს უცხადებთ მის შესანიშნავ, კულტურული ტრადიციების მატარებელ ოჯახს და იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი ჯუმბერის მსგავსი ადამიანების არსებობით ძარბოვლი მეცნიერება ფეხზე დადგება და გააბრძობებს ჩვეულ ტრადიციებს.

საპარტოვლო კიბარნეთის ინსტიტუტი, ძ.თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დაინტერესებული პირები უნდა განაცხადონ საპარტოვლო ორგანული კანონის „აღი-ლოვრები თვითმმართველობის შესახებ“, მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად დაინტერესებული პირები უნდა განაცხადონ საპარტოვლო გიორგი მიწევიძის წლის 20 დეკემბრამდე აცხადებს კონკურსს

დაინტერესებული პირები უნდა განაცხადონ საპარტოვლო ორგანული კანონის „აღი-ლოვრები თვითმმართველობის შესახებ“, მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად დაინტერესებული პირები უნდა განაცხადონ საპარტოვლო გიორგი მიწევიძის წლის 20 დეკემბრამდე აცხადებს კონკურსს

○ ამაღლება

აყვავებული გაშლის ხე



დაიღვამე, ორდღიან ძორწილს მე
ბისდი აქ!
ვაი, რომ არც ეს მოხდება.
თხილისში რომ ვპრუნდებო-
დით, ღორქვის გასაყარტანს სვლა
შეაწეა, გვირდით მკვლამს შე-
მოხედავ და გკითხა:
– ძია ნოღარ, ხომ შეგვირდით,
აქეთოგისას ბრიგოლ ხანძრე-
ლის მიერ აგებულ ტაძარს და-
ბათვალთაგანგებოთ, გადევნე-
ვიო?
– არა, ჩემო გიჟო! აქ უფრო
ფხიზლია და განმედილი უნ-
და მოვიდეთ. გადავდეთ ბა-
ზაფხულისთვის.
ვაი, რომ არც ეს მოხერხდება.
რატომ ასეთი სისასტიკა?
რატომ?
აგუზავებული უზსარი, ცალი
ხელით სკამის საზურგას დაყრ-
დნობის, ცალით უზსარის ლაპ-
ბარდის. ცაცხლისა და ელემტ-
რონის შუქი გაცემა და... არ მის-
სვს, პატრონი გურამი თუ პატრონი
გლახო მოვხებდა შენსკან:
– ახვავებული ვაშლის ხეს არ
კვავს?
ეს არ ყოფილა აპირცეფცია,
ტიცინანს ფრანგიან მოქონარა:
„მე დავივადე აპირილის თვეში,
ვაშლის გაშლილი ყვავილები-
დან“, უზრალოდ, ვარდის,
სოსანის, მამოლიის და კიდე
სხვათა ფრეზი საოცარ ათინათს
ქინდნან შენს სახლზე. ახლა კისი-
გოლურ დატვირთვას ვაძლევ ამ
ფრეზას, ძველმეტი ვაშლზე.
ღიან, ვაშლის ხესავით ყვარდი,
მაგრამ ნაყოფის მოცემა ვერ მო-
ხერხდება.
შენ ხომ ნაღდი და სავა ცხოვ-
რებით არ გიცხოვრებ, ჩემო გი-
ჟო?
შენ ხომ არ შეგვიხარ ძალწუ-
ლის გაგას და მეუღლეობა არ
გითხოვია?
რამდენივე თვე და ააფრია-
ლავდი კიდეც და დაუნივერსიტე-
ტის დიპლომს მოვარაყავა ული
ასოვებით: „ქალაქი ირაკლი მან-
სკაპას...“
რატომ ასეთი სისასტიკა?
რატომ?
* * *
ახლა შუალადა, ვნარ ამ სტრი-
ტონებს და ცრემლად ვიღვრები.
ასე მგონია, რუმად შემოხვალ,
გამიღივებ შენთვის ჩვეული
ალაღი ღიმილით და მეტყვი:
– ძია ნოღარ, რა ბატირებს, მე
ხომ მარად ვიძინებ თქვენთან.

ნოდარ ტაბიძე

○ მკვანე შექანილი

რ. აღმაშენებელი ჯი ახა, რადიო აღმაშენებელი!

დაინფორმირებული, დაინფორმირებული... ვინ ამცევეს
ჭურჭელსა და ჩვენი პრეზიდენტი და მისი ერთი-
ანი გუნდი (მეტი მაგათ რა ვუთხარებ პრეზიდენტი არ
კითხულობს და, სად ნახავდნენ. მითერთობად
ვწერთ: არ შეიძლება ჩვენი მეფეთ-მეფის და-
ვით აღმაშენებლის სახელი ინიციალით დაწერო – დ.
აღმაშენებელი. არაფერი შეიძლება: დ-ც ხარეთ
და გ-ც (ჭოგი ჩინოსანი, რა თქმა უნდა. კეთილი
ინებეთ და აღმაშენებლის გაგზინება წმინდასი-
ნის აღმნიშვნელ აზრებს მიუხედავად წმინდასი-
ნის აღმაშენებლის გვირდით ხშირად არის დ.
აღმაშენებელი, თანაც, ეს აზრები, ვისაც როგო-
რი გემოვნება აქვს, იმ ფერისა და ზომისაა! არ
შეიძლება, ა. სუბალიანო, ჩვენი უნივერსიტეტი და-
მინავის სახელი ინიციალით ვწეროთ: დ-ც ხარეთ
ლოგო! საუბრეებია ამ სახელზე ვეფერებოთ – და-
ვით აღმაშენებელს, კეთილად წაგვარებს, ილია ჭავ-
ჭავაძის, აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას (ერთი
მიკროავტოგუნის მარტოებს, სხვათა შორის, ვ.
ფშაველა ანდრია და, რაღა თქვენ ახინებთ, „რე-
ვოლუციონერებო“?
რა, აღვიღის ეკონომიკის ეფექტი?
უკადრებელს ნუ კადრულობთ!

რესტორან გვიჩი იყო!..

ახალი ტალღა აგორდა – მუხრანს სახელები უნდა
გადაერქვინა. მითუმ, მარტოლა ემ, „პროლეტარია“
აქვს ძალაძს. ტაძისსტავა იკითხონ, ველარ აბ-
ნებან მუხრანს, მუხრანისად, აირიან მონასტარი...
პარკით, ვითვით, ერთ დროს „პაპაშა“ რევოლუ-
ციონერის გვარი (თანაც – უცხოელებს გაფრე-
კრთადა (ახლა ცხოვრება „რევოლუციონერებო“
და გარდაცვლილი ეროვნული მოღვაწის გვარით
შეცვალეთ, მაგრამ ღმერთის ქმნას, რაღა იერ-
რით, ხალხო, ბნებავთ, გაბარინის მოვლან, ანდა,

○ ანაკლოტები

– მისო, რაზე ჩაფიქრებული ხარ
და ოცნებობ?
– რაზე და იმაზე, რომ გააო-
რდეს კეთილი ფრეზა და ასეთ-
სი დოლარი მარშოს.
– რატომ მილიონი არა?
– მილიონი არაა რაღა.
* * *
– ალო, სასწრაფოა?
– დიან.
– ჩემ ოთახში კოლო დაფრი-
ნავს, მთელად გახედავ, დაძინე-
ბის საშუალებას არ მაძლევს!
– მერა რა?
– რა და, მოდით, დამაწყნა-
რებელი ნაღის მივიღებოთ!
* * *
ნარკომადავი
ფრეზებო-
ვდნენ. სხედან
ს ა ნ ბ ა რ შ ი,
მოწყვნილები



არინა, ერთი ამოგზა:
– არც მოსწავნია, არც გა-
საჩარხი თავიცი ისეთი ნათელია,
სიცოცხლე შეგაშლდება, კონ-
ტუზიანს მივიღებოთ...

მიღის მისო მუხრანში. ფული იჭო-
ვა, დაითვალა, არ კვარა!!!

ახლანან ცნობილი გახდა, რომ
მადონას ძალწულუონისა ლუი-
ზა ჩიკოვა ერძვა.
საღი შოპირავა ულია – მადონა
ოღვსდაც ძალწულიც ყოფილა.

მომე გარდაიცვალა. მის ცოლს
უნდა შეატყობინო.
– ეს ფრეზა უნდა გავაქე-
თოთ. რაღაცნაირად ნება, თან-
დათან უნდა შევასაროთ... – აბ-
ოგს ერთი.
– თანდათანობით? – ჩაფიქ-
რებული გამოეხას უხა მერა –
მადონაგანი უნდა გავგზავნოთ,
ენაგლუა.



ანტონოვსკანის ქუჩას? კონსტანტინე ლეონიძე
უბრძანებს სარდალი იყო, და, სხვათა შორის, კავ-
კასიანს იცავდა, რუსი გაბარინი მთელი მსოფლიოს
ვაჟაცოვის სიგოლო გახდა, ხოლო ანა ანტონოვ-
სკანიან გორის ჩორენისთან ერთად შესანიშნავი რე-
მანი დაწერა დიდ მოუარავთ. თვითონ ჭრით და
თვითონ კარავთ გიმიკო, არავის არაფერს აკითხე-
ბით, და საქმეც წინდაუხედავად გაგზავნით!

კანსოვო, აფხაზეთი?!

ვუყურებდი გიორგი თარგამაძის შესანიშნავ
„დროებაში“ სიუჟეტს გალელი მასწავლებლის
შესახებ და სიგარაზე მასწავლებელს. კაცი არ არის,
ჩვენ რომ ყურადღება მოგვაქცეოთ, არც თხილის
ვახსოვართ, არც აფხაზეთის დიურა მთავრობას,
არც ბანათელის სამინისტროს, ეს არის ზრუნვა
გალელი მოსწავლეებზე და მასწავლებლებზე?
არც დახმარება, არც ხელფასი, ცარიელი ეთუში-
ზური როდით გვეყოფა...
ასე გვხატია გულის კოვჩა აფხაზეთის არდა-
ვიწყებას!
ყოფა, ჩვენი!

ვილენ მარდალიანი

№ 218. სპეციალური. 7 ნოემბერი. 2006 წელი.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

○ ლარის კურსი

12 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტების შეფასების კურსი

ინგლისური გირე. სტერლ.	1	3,3787 ლარი
აშშ დოლარი	1	1,7270 ლარი
ევრო	1	2,2826 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0657 ლარი.
ამერიკული დოლარი	1	1,9803 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4720 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,4299 ლარი.



○ კადრი

ნინო 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარედაქციო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

○ ინფორმაცია

აფთქა შესხვერვლად დაითვალა

გუშინ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, საგზაოპო №61 ე.წ.
ფრთხილი ავტობუსი ავითვალა.
მგზავრებით დატვირთულ ტრანსპორტში, არავინ დაგვივალა.
ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ვი-ეი-ენს“ თბილისის
მერის სააგენტოს საგზაოპო №61-ის უფ-
როსმა ნოდარ ტაბიძემ აცნობა.
როგორც „ვი-ეი-ენს“ სააგენტო-
ლო საგზაოპოს კოორდინატორმა
ზაზა გულიაშვილმა შემთხვევის
აღვლიდან აცნობა, ავტობუსში
ცაცხელი ელემტრომონტორების
გაუპართაობა გამოიწვია.
XII-008-ენი



<p>საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA აფთქა და დაბრუნება გაერთიანებული სააგენტო. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22. დაეძვრა გამოცემა „კოლონი“ სტაბილური, რეინფორსი, მისი, 20.</p>	<p>დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები</p>	<p>გამომცემელი – შპს „თანადგომი“-1 ქიზიყის 14 ტ: 899 797679; 98-96-32</p>	<p>მთავარი რედაქტორი ალექს ასლანიშვილი მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე</p>	<p>ინფორმაცია მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34. მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33. სარედაქციო განყოფილება: 98-96-32; 899 328576</p>	<p>რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები დაბრუნება ავტომა- ტურად. წერილები მიმართული უნდა იქნას მთავარი რედაქციის აგენტო, რომელიც მოსწავლეს, შესაძლოა, შეუძლია არ შეუბნებოდეს რედაქციის პოლიტიკას. ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერით ანაწილოთ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მათი მისამართის სტაბილური მისამართითა და</p>
--	--	---	---	--	--